საქართველოს პარლამენტი

საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი

თბილისი, 0118, რუსთაველის გამზ. 8.
ტელ: 28 16 44
ფაქსი: 92 24 09

№ 11908
„12“ 11 2008 წ.

საქართველოს პარლამენტის ბიუროს

საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების
კომიტეტის

დ ა ს კ ვ ნ ა

საქართველოს პარლამენტის წევრის კობა სუბელიანისათვის პარლამენტის
წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე

საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტმა მიმდინარე წლის 12 ნოემბერს სხდომაზე განიხილა საქართველოს პარლამენტის წევრის კობა სუბელიანისათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი მის მიერ პარლამენტის წევრის სტატუსთან შეუთავსებელ თანამდებობაზე დანიშვნის გამო. დადასტურდა, რომ ბატონი კობა სუბელიანი საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2008 წლის 2 ნოემბრის №310 ბრძანებით დაინიშნა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კომიტეტს მიაჩნია, რომ საქართველოს კონსტიტუციის 54-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად საქართველოს პარლამენტის წევრს კობა სუბელიანს ვადამდე უნდა შეუწყდეს პარლამენტის წევრის უფლებამოსილება.

კომიტეტის თავმჯდომარის
პირველი მოადგილე

დავით თოდრაძე

შემსრულებელი: პ.წურწუმია
ტელ: 281316